№ 00000582

18/07/2024

რძანება №582

შპს "თეგეტა აკადემიაში" კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით სარგებლობის წესის ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ

02.11.2017 წელს დამოწმებული (სანოტარო მოქმედების რეგ.N A171287872) შპს ,,თეგეტა აკადემიის“ წესდებისა და 7.1, 7.3 და 7.7 მუხლების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. 2024 წლის 18 ივლისიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს "თეგეტა აკადემიაში" არსებული ბრძანება/ბრძანებები კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით სარგებლობის წესის შესახებ.
2. დამტკიცდეს შპს "თეგეტა აკადემიაში" კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით სარგებლობის წესი ახალი რედაქციით წინამდებარე ბრძანების დანართი №1 - ის შესაბამისად.
3. დაევალოს შპს „თეგეტა აკადემიის“ საქმისწარმოების სპეციალისტს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა.
4. წინამდებარე ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

შპს "თეგეტა აკადემია"
დირექტორი
სიხარულიძე ოთარი

დანართი N1

შპს „თეგეტა აკადემია“

შპს „თეგეტა აკადემიაში“ კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით სარგებლობის წესი

ქ. თბილისი

2024 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი არეგულირებს შპს „თეგეტა აკადემიის“ (შემდგომში აკადემიის) პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და პერსონალის მიერ აკადემიის კუთვნილი კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით სარგებლობის პირობებს.

მუხლი 2. კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით მოსარგებლეთა უფლება-მოვალეობანი

1. აკადემიის პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს და პერსონალს უფლება აქვთ:
   ა) გამოიყენონ აკადემიის კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტი სამუშაო დღის საათებში 09:30 საათიდან 18:30 საათამდე, აკადემიის მისამართზე - ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N129, ქ.ბათუმი, ი.გაგარინის ქ.N 2, ქ.ფოთი, ლარნაკას N2;
   ბ) ინტერნეტის მეშვეობით მოიძიონ სასწავლო და პრაქტიკული ხასიათის ინფორმაცია, აგრეთვე გადმოწერონ და გაეცნონ;
   გ) შეასრულონ პრაქტიკული დავალებები, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად;
   დ) მიიღონ აკადემიის თანამშრომლებისგან კონსულტაცია კომპიუტერული ტექნიკისა და ინტერნეტით მომსახურების გამოყენების დროს.
2. აკადემიის პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს და პერსონალს ეკრძალებათ:
   ა) აკადემიის კუთვნილ კომპიუტერებში პროგრამების თვითნებური ჩაყენება-ინსტალაცია/წაშლა, გარდა სასწავლო დანიშნულების პროგრამებისა;
   ბ) გასართობი და სხვა არასასწავლო, არასაგანმანათლებლო საიტების გამოყენება, რაც არ არის დაკავშირებული აკადემიის პერსონალის სამუშაოსთან ან საგანმანათლებლო ან/და პრაქტიკულ საქმიანობასთან;
   გ) არამიზნობრივად “ჩათის“, ფორუმებისა და მსგავსი ინტერნეტ მომსახურების გამოყენება.
3. აკადემიის პროფესიული სტუდენტები/მსმენელები და პერსონალი ვალდებულნი არიან:
   ა) არ დააზიანონ აკადემიის ტექნიკა და ინვენტარი;
   ბ) გამოყენების შემდეგ გამორთონ კომპიუტერი;
   გ) დაიცვან სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და სიწყნარე კომპიუტერულ ტექნიკასთან მუშაობის დროს;
   დ) ტექნიკისა და ინვენტარის დაზიანების შემთხვევაში აანაზღაურონ მიყენებული ზარალი.
   ე) კომპიუტერის ან ოპერატიული სისტემის გაუმართავად მუშაობის შემთხვევაში აცნობონ ამის შესახებ აკადემიის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს.

მუხლი 3. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესი ამოქმედდეს დამტკიცების დღიდან.
2. შპს „თეგეტა აკადემიაში“ კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით სარგებლობის წესის“ გაუქმება და მასში ცვილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიის დირექტორის ბრძანებით.